კავშირი ლიდერის ემოციურინტელექტსა და ორგანიზაციისადმი თანამშრომელთა მიკუთვნებულობას შორის

მარიამ გურგენიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

ფსიქოლოგია (სოციალური ფსიქოლოგია)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ჯავახიშვილი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისსრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015 წელი

აბსტრაქტი

წინამდებარე კვლევა განიხილავს ლიდერის ემოციური ინტელექტისა და თანამშრომელთა ორგანიზაციული მიკუთვნებულობის ურთიერთმიმართებას. ლიდერისთვის ემოციური ინტელექტი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია თავისი საქმიანობის ეფექტურად განსახორციელებლად. თანამშრომელთა ორაგანიზაციისადმი მიკუთვნებულობა კი უზრუნველყოფს მათ მაღალ შრომით ნაყოფიერებას და თავდადებას ორგანიზაციისთვის.

კვლევა ჩატარებულ იქნა საქართველოს სხვადასხვა ორგანიზაციებში. კვლევის მონაწილეები არიან სხვადასხვა დონის მენეჯერები და მათსავე უშუალო დაქვემდებარებაში მყოფი თანამშრომლები. კორელაციური ანალიზის შედეგად აღმოჩნდა, რომ არ არის კავშირი ლიდერის მთლიან ემოციურ ინტელექტსა და თანამშრომელთა მთლიან ორგანიზაციულ მიკუთვნებულობას შორის, თუმცა არის სუსტი დადებითი კავშირი თანამშრომელთა მთლიან ორგანიზაციულ მიკუთვნებულობასა და ემოციური ინტელექტის ერთადერთ კომპონენტს, ემოციურ თვით-კონტროლს შორის.